ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2920812

ნომერი: AR1449913

თარიღი : 19.10.2016

გაცემის თარიღი : 02.11.2016

გაცნობის თარიღი : 02.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა თანიაშვილი პ/ნ 01024036376
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 56 ბ. 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1449913 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #01.14.12.003.055 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 13 აპრილის #2510843 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შატბერაშვილის და

კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55), ი.ბ.ა "დრიმლენდ ვაკე"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.14.12.003.055) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2016 წლის 12 ოქტომბერს #AR1448183 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, 2016 წლის 21 ოქტომბრის #2902033 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული შეთანხმება არ მომხდარა.
ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე #01.14.12.003.055 საკადასტრო ერთეულზე სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.